საქართველო
აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის

გ ა ნ კ ა რ გ უ ლ ე ბ ა № 26

2014 წლის 19 თებერვალი ქ. ბათუმი

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის საქვეუწყებო დაწესებულების - ტურიზმისა და კურორტების დეპარტამენტის მიერ სახელმწიფო შესყიდვების გამარტივებული შესყიდვის საშუალებით განხორციელების შესახებ

„სახელმწიფო შესყიდვების შესახებ" საქართველოს კანონის მე-10^1 მუხლის მე-3 პუნქტის „დ" ქვეპუნქტის შესაბამისად:

1. აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის საქვეუწყებო დაწესებულება - ტურიზმისა და კურორტების დეპარტამენტმა, სახელმწიფოებრივი და საზოგადოებრივი მნიშვნელობის ღონისძიებების შეზღუდულ ვადებში შეუფერხებლად ჩატარების მიზნით, „აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის 2014 წლის რესპუბლიკური ბიუჯეტის შესახებ" აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის კანონით დამტკიცებული პროგრამის „რეგიონში ტურიზმის განვითარების ხელშეწყობა და საერთაშორისო ბაზარზე პოპულარიზაცია" ქვეპროგრამის - „მარკეტინგული ღონისძიებების ჩატარება საერთაშორისო ბაზარზე" განსახორციელებელი ღონისძიებების: „სარეკლამო კამპანია თურქეთში" (112,0 ათასი ლარი), „სარეკლამო კამპანია ისრაელში" (180,0 ათასი ლარი), „სარეკლამო კამპანია პოლონეთში" (258,0 ათასი ლარი), „სარეკლამო კამპანია ლიტვაში" (240,0 ათასი ლარი), „სარეკლამო კამპანია ბელორუსიაში" (170,0 ათასი ლარი), „სარეკლამო კამპანია ყაზახეთში" (180,0 ათასი ლარი), „სარეკლამო კამპანია უკრაინაში" (280,0 ათასი ლარი), „სარეკლამო კამპანია აზერბაიჯანში" (140,0 ათასი ლარი) და „სარეკლამო კამპანია სომხეთში" (100,0 ათასი ლარი) ფარგლებში, ჩასატარებელი სარეკლამო კამპანიების (ღირებულებით ჯამში - 1 660,0 ათასი ლარი) სახელმწიფო შესყიდვები განახორციელოს გამარტივებული შესყიდვის საშუალებით.

2. განკარგულება ძალაშია ხელმოწერის დღიდან.

მთავრობის თავმჯდომარე

არჩილ ხაბაძე